



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იოანე მინჩხი

იოანე მინჩხი, X ს. ქართველი ჰიმნოგრაფი. დას. საქართველოს (აფხაზეთის) მეფის, გიორგი II-ის (922–957) თანამედროვე, წარმოშობით დას. საქართველოდან, სოფ. ინჩხიდან ყოფილა, რაზეც მისი გედწოდება (მინჩხი) მიუთითებს. ვარაუდობენ, რომ პალესტინაში, სინას მთაზე მოღვაწეობდა. მისი ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა სწორედ სინურმა ხელნაწერებმა შემოინახა. მიქაელ მოდრეკილის „იადგარში“ (978–988) შესულია იამბიკური საზომით დანერილი ი. მ-ის 4 საგალობელი (გამოაქვეყნა ი. ჯავახიშვილმა 1947). ქართ. ჰიმნოგრაფიაში მან შემოიღო ახ. სალექსო ფორმა მინჩხური.

თხზ.: [წიგნში] ინგოროყვა პ., ძველი ქართული სასულიერო პოეზია, წგ. 1 – ტექსტები, ტფ., 1913; ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგ. სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, [ტ.] 1, თბ., 1946.

ლიტ.: ინგოროყვა პ., თხზ. კრ. შვიდ ტომად, ტ. 3, თბ., 1965; კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, თბ., 1960.

ლ. ჯღამაია
